კრედიტის ნომერი 4373-GE

დაფინანსების ხელშეკრულება

(აღმოსავლეთ-დასავლეთი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი)

საქართველოსა

და

განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის

თარიღი 20 ივნისი 2007

დაფინანსების ხელშეკრულება

2007 წლის 20 ივნისს დაიდო ხელშეკრულება საქართველოს ("მიმღები") და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის ("ასოციაცია"). მიმღები და ასოციაცია შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I – ზოგადი პირობები; დეფინიციები

1.01 ზოგადი პირობები (როგორც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში) წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.02 ტერმინები დაფინანსების ხელშეკრულებაში გამოიყენება იმ მნიშვნელობით რომლებიც მინიჭებული აქვთ ზოგად პირობებში, ან ამავე ხელშეკრულების დანართში, თუ კონტექსტით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული.

მუხლი II – დაფინანსება

2.01 ასოციაცია თანახმაა წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად მიმღების სასარგებლოდ გასცეს კრედიტი ოცდა ორი მილიონ ოთხასი ათას მიღების სპეციალური უფლების ოდენობით. (22,400,000 SDR) ("შემდეგში "კრედიტი" და "დაფინანსება") რათა მხარი დაუჭიროს პროექტის ("პროექტი") დაფინანსებას, წინამდებარე ხელშეკრულების პირველი დანართის შესაბამისად.

2.02 მიმღებს უფლება აქვს გამოიყენოს დაფინანსების სახსრები., წინამდებარე ხელშეკრულების მეორე დანართის მეოთხე ნაწილის შესაბამისად,

2.03 მიმღების მიერ გამოუყენებელი კრედიტის ბალანსზე გადასახდელი მომსახურების გადასახადის ოდენობა ერთი პროცენტის ნახევარს შეადგენს წელიწადში. (1%-ის 1/2)

2.04 მიმღების მიერ კრედიტის გამოყენებულ ბალანსზე გადასახდელი მომსახურების გადასახადის ოდენობა ერთი პროცენტის სამ-მეოთხედს შეადგენს წელიწადში (1%-ის 3/4)

2.05 გადასახადის თარიღებია ყოველი წლის 15 თებერვალი და 15 აგვისტო.

2.06 კრედიტის ძირითადი ნაწილის დაბრუნება უნდა მოხდეს წინამდებარე ხელშეკრულების მესამე დანართში განსაზღვრული გადახდის გეგმის შესაბამისად.

2.07 გადახდის ვალუტა არის ა.შ.შ დოლარი.

მუხლი III – პროექტი

3.01 მიმღები აცხადებს თავის ვალდებულებებს პროექტის მიზნების მიმართ. ამ მიზნით მიმღებმა პროექტი უნდა განახორციელოს ზოგადი პირობების მეოთხე მუხლის შესაბამისად.

3.02 მიმღებმა უნდა უზრუნველყოს პროექტის განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულების მეორე დანართის შესაბამისად, მოცემული ხელშეკრულების 3.01 პუნქტის პირობების შესამაბისად შეზღუდვების დაწესების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მიმღები და ასოციაცია სხვაგვარად მოილაპარაკებენ.

მუხლი IV – ასოციაციის დაზღვევის საშუალება

4.01 ამ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი შეიძლება გახდეს შემდეგი: მიმღებმა არ აცნობა და არ წარუდგინა შესაბამისი ინფორმაცია ასოციაციას საკონსეციო ხელშეკრულებაში შესვლამდე აღმოსავლეთ-დასავლეთი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მართვასა და მოვლა შენახვაზე ან ასოციაციამ მხარი არ დაუჭირა მიმღები მხარის მიერ ასეთ ხელშეკრულებში მონაწილეობას.

მუხლი V – ეფექტურობა; შეწყვეტა

5.01 ეფექტურობის დამატებითი პირობები მოიცავს შემდეგს: საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (RDMED) და ტრანსპორტის რეფორმის და რეაბილიტაციის ცენტრმა (TRRC) ხელი უნდა მოაწერონ არსებული პროექტის განხორციელების ხელშეკრულების დანაროს, რომელიც მისაღები იქნება ასოციაციისათვის, სადაც განსაზღვრული იქნება მათი შესაბამისი ფუნქციები და პასუხიმგებლობები.

5.02 ეფექტურობის უზრუნველყოფის საბოლოო ვადა არის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ოთხმოცდაათი (90) დღე.

მუხლი VI – წარმომადგენლები; მისამართები

6.01 მიმღების წარმომადგენელი არის მიმღების ქვეყნის ფინანსთა მინისტრი.

6.02 მიმღების მისამართი:

ფინანსთა სამინისტრო
ირაკლი აბაშიძის ქუჩა № 70
0162, თბილისი
საქართველო
ფაქსიმილია: 995 32 292079

6.03 ასოციაციის მისამართი:

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია
1818 H Street N.W.
ვაშინგტონი, D.C, 20433
ამერიკის შეერთებული შტატები

კაბლოგრამა: INDEVAS, ვაშინგტონი, D.C.

ტელექსი: 248423 (MCI)

ფაქსიმილია: 1– 202– 477– 6391

შეთანხმებულია [illegible] [illegible] აღნიშნულ თვესა და წელს.

საქართველოსა

წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ

და

განვითარების საერთაშორისო ასოციაციის

წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ

შორის

აღნიშნული პროექტის მიზნებია: (ა) საქართველოს აღმოსავლეთ – დასავლეთ დერეფნის ცენტრალურ ნაწილში საგზაო ტრანსპორტის ხარჯების ეტაპობრივი შემცირების ხელშეწყობა, მისი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, სატრანზიტო მოძრაობის გამარტივება და უსაფრთხო მოძრაობის ხელშეწყობა, აღმოსავლეთ- დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის თბილისი რიკოთის მონაკვეთის გაუმჯობესების გზით; და (ბ) სახელმწიფო სტრუქტურების განსაკუთრებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება, მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის შემუშავება და დანერგვა.

<u>კომპონენტი 1: E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესება</u>

E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის იგოეთი-სვენეთი-ს მონაკვეთის გაუმჯობესება ორ ზოლიანიდან ოთხ ზოლიანად, ისევე როგორც შემდგომი მონაკვეთის, შესაბამისი სამუშაოებისა და საკონსულტაციო მომსახურების დაფინანსების გზით.

კომპონენტი 2: საგზაო უსაფრთხოება:

საძთავრობო სტრუქტურების და განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდა, რათა შემუშავდეს და დაინერგოს მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა E60 ავტომაგისტრალზე, საქონლის, საკონულტაციო მომსახურების, სამუშაოებისა და სწავლების გზით.

კომპონენტი 3: პროექტის მართვა, მონიტორინგი და შეფასება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის და ტრანსპორტის რეფორმის და რეაბილიტაციის ცენტრის ინსტიტუციური მხარდაჭერა, პროექტის განხორციელების, აუდიტის, მონიტორინგის და შეფასების საქმეში.

დანართი 2

პროექტის განხორციელება

პუნქტი I.

<u>ა. ინსტიტუციური მოწყობა</u>

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იქნება პასუხისმგებელი პროექტის კოორდინირებაზე, კონტროლსა და მიმართულებების განსაზღვრაზე. პროექტის განხორციელების მხარდაჭერის ხელშეკრულების თანახმად, ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრი დაეხმარება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს პროექტის ფინანსურ მენეჯმენტში; ასევე პროექტთან დაკავშირებული შესყიდვების, გადარიცხვების, მონიტორინგის და შეფასების საკითხებში;

2. ფინანსთა სამინისტრო და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იღებს პასუხისმგებლობას თანხების მოხსნის განაცხადებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე და ქმედებებზე და პროექტის ფარგლებში თანხების გადანაწილებაზე.

3. პროექტის სწორი, ასოციაციისათვის მისაღები განხორციელების მიზნით მიმღები დაეხმარება ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრს ტექნიკური ღონისძიებების შედგენაში, რესურსებისა და კადრების მოძიებაში.

ბ. ანტი კორუფცია. მიმღები უზრუნველყოს პროექტის განხორციელებას ანტი-კორუფციული სახელმძღვანელოს შესაბამისად.

გ. უსაფრთხოების ზომები.
მიმღები უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას გარემოსდაცვის მენეჯმენტის გეგმასა და განსახლების ჩარჩო პოლიტიკის პირობების შესაბამისად. მიმღებს უფლება აქვს დაადგინოს, შეასწორის, გააუქმოს ან უარყოს გარემოსდაცვის მენეჯმენტის გეგმა და განსახლების ჩარჩო პოლიტიკა ასოციაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

პუნქტი II. <u>პროექტის მონიტორინგი, ანგარიშგება, შეფასება</u>

ა. პროექტის ანგარიშები.

მიმღებმა უნდა განახორციელოს პროექტის მონიტორინგი, შეაფასოს წარმატება და მოამზადოს ანგარიში ზოგადი პირობების პუნქტ 4.08-ით განსაზღვრული პირობების და ასოციაციასთან შეთანხმებული ინდიკატორების შესაბამისად. პროექტის თითოეული ანგარიში უნდა მოიცავდეს ექვს (6) თვიან პერიოდს და უნდა მიეწოდოს ასოციაციას თითოეული ანგარიშით მოცული პერიოდის დასრულებიდან არა უგვიანეს ორმოცდახუთი (45) დღისა.

ბ. ფინანსური მენეჯმენტი ფინანსური ანგარიშები და აუდიტები.

1. მიმღებმა უნდა უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს ფინანსური მენეჯმენტის სისტემის განვითარებას ზოგადი პირობების 4.09 პუნქტის შესაბამისად.

2. ამ პუნქტის ა ნაწილის პირობების შეზღუდვის გარეშე, მიმღებმა უნდა მოამზადოს და კვარტლის დასრულებიდან არა უგვიანეს ორმოცდახუთი დღისა ასოციაციას წარუდგინოს პროექტის კვარტალური არააუდიტირებული შუალედური ფინანსური ანგარიშები, ანგარიში წარმოდგენილ უნდა იყოს ასოციაციისთვის მისაღები ფორმით.

3. მიმღებს უნდა გააჩნდეს ზოგადი პირობების 4.09 (ბ) პუნქტის შესაბამისად აუდიტირებული ფინანსური ანგარიშები. ფინანსური ანგარიშის თითოეული აუდიტი უნდა მოიცავდეს მიმღების ერთ (1) ფისკალურ წელს. ყოველი ასეთი აუდიტირებული ფინანსური განაცხადი უნდა მიეწოდოს ასოციაციას, მასში მითითებული პერიოდის დასრულებიდან არა უგვიანეს ექვსი (6) თვისა.

4. 2008 წლის 31 მარტისთვის ან მანამდე ტრანსპორტის რეფორმის და რეაბილიტაციის ცენტრი ასოციაციისათვის მისაღები ტექნიკური დავალების ფარგლებში მიაწვევს დამოუკიდებელ აუდიტორს.

პუნქტი III <u>შესყიდვები</u>

<u>ა. ზოგადი</u>

1. **საქონელი და სამუშაოები.** პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა უნდა მოხდეს შესყიდვების სახელმძღვანელოს პირველ პუნქტში განსაზღვრული მოთხოვნების და ამ დანართის პირობების შესამაბისად.

2. **საკონსულტაციო მომსახურება.** პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა უნდა მოხდეს "კონსულტანტის სახელმძღვანელო"-ს პირველი და მეოთხე პუნქტებში განსაზღვრული მოთხოვნების და ამ დანართის პირობების შესაბამისად.

3. **დეფინიციები.** შესყიდვის ან ასოციაციის მიერ კონკრეტული კონტრაქტების გადასინჯვის მეთოდების აღწერის მიზნით, ზემოთ გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შესყიდვების ან "კონსულტანტის სახელმძღვანელოში" აღწერილ შესაბამის მეთოდებს.

ბ. <u>საქონლისა სამუშაოების შესყიდვის კონკრეტული მეთოდები.</u>

1. **საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა.** გაფორმებული კონტრაქტების ფარგლებში საქონლისა და სამუშაოების შესყიდვა უნდა მოხდეს საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის საფუძველზე, თუ ქვემოთ მოყვანილი მეორე პარაგრაფით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. **საქონლისა და სამუშაოების შესყიდვის სხვა მეთოდები.** ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის გარდა არსებული საქონლის და სამუშაოების შესყიდვის მეთოდები. შესყიდვის გეგმა განსაზღვრავს ასეთი მეთოდების გამოყენების პირობებს:

შესყიდვის მეთოდი
ა) ნაციონალური საკონკურსო ვაჭრობა
ბ) შოპინგი
გ) კონტრაქტის პირდაპირი გაფორმება

<u>საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა</u> <u>კონკრეტული მეთოდები</u>

1. **შერჩევა ხარისხსა და ფასზე დაყრდნობით.** კონტრაქტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა უნდა მოხდეს ხარისხისა და ფასის მიხედვით შერჩევის საფუძველზე, თუ მეორე პარაგრაფით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. **კონსულტანტის მომსახურების შესყიდვის სხვა მეთოდები.** ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ხარისხისა და ფასის მიხედვით შერჩევის გარდა არსებული სხვა მეთოდები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვისათვის. შესყიდვის გეგმა განსაზღვრავს ამგვარი მეთოდების გამოყენების პირობებს.

შესყიდვის მეთოდი:
ა) შერჩევა ფიქსირებული ბიუჯეტის მეთოდით
ბ) შერჩევა ყველაზე დაბალი ფასის მიხედვით
გ) შერჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციის მიხედვით

დ) შერჩევა ერთ პირთან მოლაპარაკების მიხედვით
ე) ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა თანახმად კონსულტანტის შერჩევის სახელმძღვანელოს 5.2 და 5.3 პარაგრაფისა
ვ) ინდივიდუალური კონსულტანტები

დ. <u>შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა ასოციაციის მიერ</u>.

1. შესყიდვების გეგმა განსაზღვრავს კონტრაქტებს რომლებიც უნდა გახდნენ ასოციაციის წინასწარი განხილვის საგანი. ყველა დანარჩენი კონტრაქტი ასოციაციის მიერ განიხილება მათი ხელმოწერის შემდეგ.

პუნქტი IV. <u>თანხების გამოტანა</u>

ა. **ზოგადი.**

1. მიმღებს თანხების მოხსნა შეუძლია ამ პუნქტის, ზოგადი პირობების მე-2 მუხლისა და იმ დამატებითი ინსტრუქციების შესაბამისად, რომლებსაც ასოციაცია შეატყობინებს მიმღებს (" მსოფლიო ბანკის გადახდების სახელმძღვანელო პროექტებისათვის" დათარიღებული 2006 წლის მაისით, რომელიც განახლებული იქნება დრო[illegible] და დრო ასოციაციის მიერ და შესაბამისობაში იქნება ამ ხელშეკ[illegible] [illegible]ფისთვის თანხის გამოყენება ხდება შესაბამისი ხარჯების დაფარვის მ[illegible]ი, რომელიც აღნიშნულია შემდეგ პარაგრაფში.

2. ქვემოთ მოყვანილ ცხრილი ითვალისწინებს: (ა) ნებისმიერი მიწის შესყიდვა და განსახლების ხარჯები ამ პროექტის ფარგლებში მთლიანად იქნება დაფინანსებული მიმღები მხარის მიერ; და (ბ) მოიცავს შესაბამისი ხარჯების კატეგორიებს რომელთა დაფარვა შესაძლებელია აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში ("კატეგორია") და ამ კატეგორიით დასაფინანსებელი შესაბამისი ხარჯების პროცენტებს:

კატეგორია	გამოყოფილი კრედიტის ოდენობა (გამოხატული SDR-ებში)	დასაფინანსებელი ხარჯების პროცენტი (გადასახადების ჩათვლით)
საქონელი, სამუშაოები, საკონსულტაციო მომსახურება, ტრეინინგი და პროექტის ნაზარდი საოპერაციო ხარჯები	22,400,000	70%
ჯამი	22,400,000	

ბ. თანხების მოხსნის პირობები და ვადები.

1. მიუხედავად ამ პუნქტის ა ნაწილში განსაზღვრული პირობებისა, არ შეიძლება თანხების მოხსნა წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე განხორციელებული გადახდებისათვის; გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც შესაძლო კატეგორიებიდან მოთხოვნილი კონსოლიდირებული თანხა არ აჭარბებს **4,000,000 SDR**-ს, ხოლო შესაბამისი ხარჯები განხორციელებულია ამ თარიღამდე თუმცა 2007 წლის 1 სექტემბერს ან მის შემდეგ.

2. დასრულების ვადად განსაზღვრულია 2012 წლის 29 [illegible] რვალი.

გადახდის გრაფიკი

კრედიტის დაფარვის ვადა	კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა (გამოხატული პროცენტებით)[1]
ყოველ 15 თებერვალს და 15 აგვისტოს	
2018 წლის 15 თებერვლიდან 2027 წლის 15 აგვისტომდე	5%

[1] პროცენტები წარმოადგენენ კრედიტის ძირითად თანხაზე დარიცხულ პროცენტს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ასოციაცია სხვაგვარად განსაზღვრავს ზოგადი პირობების 3.03 (ბ) პუნქტის შესაბამისად.

დამატება

დეფინიციები

1. **"ანტი კორუფციული სახელმძღვანელო"** გულისხმობს "სახელმძღვანელოს სიყალბესა და კორუფციასთან ბრძოლის შესახებ პროექტებში დაფინანსებული "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი"-ს (IBRD) სესხებით და "განვითარების საერთაშორისო ასოციაციის" (IDA) –ს კრედიტებით და გრანტებით, დათარიღებული 2006 წლის 15 ოქტომბრით.

2. **"კატეგორია"** – ამ ხელშეკრულების მეორე დანართის მეოთხე პუნქტის ცხრილში განსაზღვრული კატეგორია.

3. **"კონსულტანტის სახელმძღვანელო"** – "სახელმძღვანელო მსოფლიო ბანკის მიერ კონსულტანტის დაქირავების პროცედურის შესახებ" გამოცემული 2004 წლის მაისში და განახლებული 2006 წლის ოქტომბერში მანკის მიერ.

4. **"EMP"** – გარემოსდაცვის მენეჯმენტის გეგმა, მიღებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2007 წლის 28 სექტემბერს რომელიც შეეხება დანართი 2-ის , I პუნქტის გ) ნაწილს. გეგმაში აღწერილია გარემოსდაცვითი შემამსუბუქებელი ღონისძიებები, მონიტორინგი და ინსტიტუციური ზომები. აღნიშნული საჭ[illegible] პროექტის განხორციელებისათვის და დამაკმაყოფილ[illegible]ლია ასოციაციისათვის.

5. **"ზოგადი პირობები"** - "განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ზოგადი პირობები გრანტებისა და კრედიტებისათვის" დათარიღებული 2005 წლის 1 ივლისით და განახლებული 2006 წლის 15 ოქტომბერს.

6. **"ნაზარდი საოპერაციო ხარჯები"** – მიმღების მიერ პროექტის განხორციელებისათვის, მართვისა და მონიტორინგისათვის გაწეული საჭირო ხარჯები შემდეგ საქმიანობებზე: კომუნიკაცია, რედაქტირება, ბეჭდვა, პუბლიკაცია, თარგმნა, ტრანსპორტის ექსპლუატაცია და მოელა შენახვა, საბანკო მოსაკრებლები, მგზავრობის ღირებულება. საველე მიელინებები, ოფისის ქირა, კომუნალური მომსახურება, აღჭურვილობა, მარაგი და პერსონალის ხელფასები (გარდს მიმღების საჯარო მოსამსახურეთა ჯამაგირებისა)

7. **"MoED"** – მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ან სხვა ნებისმიერი მიმღები ან მიმღებები

8. **"MoF"** – მიმღები ქვეყნის ფინანსთა სამინისტრო, ან სხვა ნებისმიერი მიმღები ან მიმღებები

9. **"შესყიდვების სახელმძღვანელო"** – "სახელმძღვანელო IBRD-ის სესხების და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტების ფრგლებში შესყიდვების პროცედურის შესახებ" გამოქვეყნებულია ბანკის მიერ 2004 წლის მაისში და განახლებულია 2006 წლის ოქტომბერში.

10. **"შესყიდვის გეგმა"** – პროექტით გათვალისწინებული მიმღების შესყიდვის გეგმა, დათარიღებული 2007 წლის 8 ნოემბრით და განსაზღვრული შესყიდვების სახელმძღვანელოს 1.16 პუნქტში და კონსულტანტის სახელმძღვანელოს 1.24 პუნქტში. გეგმა საჭიროებს პერიოდულ განახლებას ხსენებული პარაგრაფების შესაბამისად.

11. **"პროექტის განხორციელების ხელშეკრულება"** – ხელშეკრულება RDMED –ს და TRRC-ს შორის, დათარიღებული 2004 წლის 23 აგვისტოთი, რომელსაც დაერთვება ამ ხელშეკრულების 5.01 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

12. **"RDMED"** –მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ან სხვა ნებისმიერი მიმღები ან მიმღებები.

13. **"RPF"** – განსახლების ჩარჩო პოლიტიკა, მიღებულია "RDMED"-ის მიერ 2006 წლის 23 ოქტომბერს და რომელიც ეხება ამ ხელშეკრულების დანართი 2-ის , 1 პუნქტის ვ ნაწ. 3) ჩარჩოში აღწერილია მიწის შესყიდვასთან და სხვა სოციალური მოქმედებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, პროცედურები, გეგმები, და ქმედებები (მოსახლეობის განსახლების სამოქმედო გეგმის ჩათვლით), ასევე ასოციაციისათვის მისაღები ინსტიტუციური ზომები და რომელთა გატარებაც შესაძლოა საჭირო გახდეს პროექტის მსვლელობისას ან მასთან დაკავშირებულ მომელიმე ეტაპზე.

14. **"TRRC"** – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი დაფუძნებული 2000 წლის 21 აპრილით დათარიღებული პრეზიდენტის ბრძანებულების №161 შესაბამისად, ან მისი სამართალმემკვიდრე.

15. **"ტრეინინგი"** – პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სასწავლო ტურებზე, ტრეინინგებზე, სემინარებზე, სამუშაო შეხვედრებზე და სასწავლო საქმიანობაზე გაწეული ხარჯები, მგზავრობის ღირებულების და მონაწილეთა დღიური ანაზღაურების ჩათვლით.